



# მჯახში ძალადობის ჩამდენ პირთან მუშაობის პროგრამები

პოლონეთის და საქართველოს  
გამოცდილება

## კუბლიკაცია



# სარჩევი

**3 რენატა დურდა** - “ძალადობის ჩამდენ პირთან მუშაობა, პრობლემის გამომწვევი მიზეზი, როგორ განვასხორციელებთ ეს პოლონეთში”.

**7 გუგო ვრონა** - “პოლონეთში ძალადობის ჩამდენ პირთან მუშაობის სამართლებრივი რეგულაციების შესახებ”.

**10 ბარბარა ლეშჩინსკა** - “ძალადობის ჩამდენ პირთან სამუშაო პროგრამების განხორციელება, ადგილობრივი თვითმართველობის დონეზე”.

**17 ანა ვოლოშჩუკ** - “ოჯახური ძალადობის ჩამდენი პირების სამუშაო პროგრამების განხორციელების პრაქტიკული ასპექტი”.

**23 ნინო ტყემელაშვილი** - “სამუშაო პროგრამების განხორციელება ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან საქართველოში”.

**27 ანა ფაჩუაშვილი** - “სამართლებრივი რეგულაციები ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა შესახებ საქართველოში”.



Polish aid



HumanDoc

# რენატა დურდა

“ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობა, ანუ პრობლემის არსი, როგორ დაინერგა პოლონეთში ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის სხვადასხვა მეთოდი”.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათთვის დახმარების აღმოჩენისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ ყველა „აქტორი“ (დაინტერესებული პირი) - როგორც ძალადობის ობიექტი, ისე მოძალადე და რაღა თქმა უნდა, ე.წ. მოწმეებიც.

შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების შექმნისას და სამოქმედო გეგმების დამტკიცებისას, დიდი ყურადღება ეთმობა მსხვერპლს. ეს ბუნებრივიცაა - მათი სიტუაცია, ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს სწრაფ რეაგირებას. ამას მოითხოვს სოციალური სამართლიანობაც. თუმცა ძალადობის ობიექტისთვის დახმარების აღმოჩენა არ ნიშნავს იმ პრობლემის გადანაცვებას, რომლის გამომწვევი მიზეზიც მოძალადის ქცევაა. მსხვერპლის, ასე ვთქვათ გაძლიერება, არ ნიშნავს მოძალადის დამშვიდებას. ზოგჯერ მსხვერპლზე ძალის დომინირებისა და კონტროლის დაკარგვის, შურისძიების მიზნით, ხდება ძალადობის ესკალირება და ძალადობის უფრო სასტიკი ფორმების გამოყენება.

სამართლებრივი მექანიზმების შექმნისას და სამოქმედო გეგმების დამტკიცებისას, მოძალადეს ყურადღება ეთმობა ჩადენილი დანაშაულისა და სასჯელის ასპექტში. ამ დროს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსჯავრდებული მოძალადეები სასჯელის მოხდის შემდეგაც მიმართავენ ძალადობრივ მეთოდებს. ჩნდება კითხვა - რატომ იქცევა ადამიანი იგივენაირად, თუ მიიღო ნათელი სიგნალი საზოგადოებისგან, რომ მისი ქცევა მიუღებელია და დასჯადია? პასუხი ასეთია - „რადგან მას არ შეუძლია სხვანაირად მოქცევა“. სწორედ ამიტომ მოძალადესთან მუშაობის მთავარი მიზანია არაძალადობრივ ქცევაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ქცევითი ცვლილებების პროგრამების სწავლებას - თუ როგორ მოიქცნენ იმ სიტუაციაში, რა დროსაც მოძალადეები ადრე ძალადობრივ მეთოდებს მიმართავდნენ.

ოჯახში მოძალადეებთან მუშაობის პირველი პროგრამები პოლონეთში მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში გატარებულმა მრავალმა პროგრამამ, მათ შორის ე.წ. დულუსის მოდელმა შთააგონა პოლონეთი განეხორციელებინა მსგავსი ინტერვენცია.

დუღუსის პროგრამა ოჯახში ძალადობის ჩამდენ იმ პირებისათვისაა განკუთვნილი, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ეს გახლავთ კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც, ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირს შეუძლია არჩევანის გაკეთება - შეუძლია დანაშაული მოიხადოს საპატიმრო დაწესებულებაში, ან ჩაერთოს 60-საათიან ქცევის „სამკურნალო“ პროგრამაში, რომლის მიზანია დამნაშავის ქცევის ცვლილებების ხელშეწყობა არაძალადობრივი ქცევისკენ. ეს პროგრამა იყენებს შემეცნებით-ქცევით და ფსიქო-საგანმანათლებლო მიდგომას. ზემოაღნიშნული მიდგომის თანახმად, ადამიანი მოძალადედ არ იბადება. შესაბამისად, ამ მოდელის მიხედვით, ოჯახური ძალადობის განმარტება ეფუძნება კვლევის მტკიცებულებებს ადამიანის ბუნებისა და დინამიკის შესახებ - ძალადობას სოციალიზაციის შედეგად ვსწავლობთ. ნასწავლ ქცევას -კი შესაძლებელია გადავაჩვიოთ ადამიანი.

როდესაც 2005 წელს პოლონეთში მიღებულ იქნა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი, მაშინ ერთ-ერთ მუხლში განისაზღვრა პოლონეთის ყველა მუნიციპალიტეტში (პოვიატში) ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისათვის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარების აუცილებლობა. მართალია, დასაწყისი იმედისმომცემი იყო, თუმცადა 15 წლის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმატების მხოლოდ ასე ვთქვათ, ნახევარს მივალწიეთ.

პროგრამაზე წვდომა ისევ რჩება ინტერვენციის სუსტ წერტილად - სამწუხაროდ, ასეთი პროგრამები არ ხორციელდება ყველა მუნიციპალიტეტში (თვითმმართველობის ერთეულების, ე.წ. პოვიატების დაახლოებით 50%-ში ხორციელდება აღნიშნული პროგრამები). ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისათვის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების არმქონე მუნიციპალიტეტები მსურველების არარსებობით ხსნიან პროგრამების არარსებობას. პროგრამაში მონაწილეობის „მსურველ“ პირად განიხილებიან ის ადამიანები, რომლებსაც პროგრამაში ჩართულობა „დააძალეს“ - ეს მათთვის სავალდებულო აღმოჩნდა; ეს მოხდა ოჯახის წევრის მუქარით, ან ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის შედეგად. სამწუხაროდ, ბევრი მოსამართლე, თუ პროკურორი ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირს არ უტოვებს არჩევანის („ციხე, ან პროგრამაში მონაწილეობა“) უფლებას.

11 ათასზე მეტ საქმეზე, რომელიც ეხება ოჯახურ ძალადობას, საკორექციო-საგანმანათლებლო პროგრამებში, სასამართლო გადანყვეტილებების

საფუძველზე, დამნაშავეების მხოლოდ 10%-ის ჩართვა ხდება, დანარჩენი კი საპატიმრო დაწესებულებებში ხვდება.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ პროგრამაში სულ უფრო მეტი ადამიანი ერთვება ნებაყოფლობით, სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე, ოჯახის, პოლიციელის, საავტორო პროგრამები. ჩვენ ვაფასებთ მათ ეფექტურობას და ვიმედოვნებთ, რომ ყოველწლიურად გაიზრდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მოახერხებენ ძალადობრივი ქცევების შეცვლას.

ასე რომ მოხდეს, მნიშვნელოვანია იმ პირთა გადამზადება, რომლებსაც შეუძლიათ და სურთ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობა (აღსანიშნავია, რომ ეს საკმაოდ „რთული“ კლიენტია ფსიქოლოგიურ სამუშაოში). უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ასეთ პირებს ჰქონდეთ შესაბამისი ანაზღაურება - ამ ეტაპზე, ასეთ საქმეს აკეთებენ მხოლოდ ენთუზიზმით აღსავსე ადამიანები, რადგან ასეთი პირების შემოსავალი და მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა.

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა რიცხვის შემცირებას შეუძლია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობის და საერთო ჯამში, ოჯახში ძალადობის პრობლემის შემცირება.

ერთვება ნებაყოფლობით, სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე, ოჯახის, პოლიციელის, სოციალური მუშაკის, სპეციალური პედაგოგის (რომელიც მუშაობს ოჯახთან კრიზისების და პრობლემების გადანყვეტის მიზნით) რეკომენდაციით. ყოველწლიურად, ასეთი პროგრამები გულისხმობს პოლონეთის მასშტაბით, 4 ათასამდე ადამიანის ჩართვას, რაც საკმაოდ პატარა მაჩვენებელია იმასთან შედარებით, თუ რამდენი ადამიანი საჭიროებს ასეთ დახმარებას, თუმცა...

რადაცით ხომ უნდა დავიწყოთ - ჩვენ ხომ ისევ დანყებით პერიოდში ვართ.

2016 წლიდან ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის სამოქმედო გეგმაში განერილ იქნა მოძალადებთან მუშაობის სხვადასხვა პროგრამების დანერგვის შესაძლებლობა. საუბარია ტრენინგებზე, რომელიც ითვალისწინებს ქცევის, აგრესიის ცვლილებას, პრობლემების გადანყვეტის ალტერნატიულ გზებს, გამოსავალზე ორიენტირებულ ხანმოკლე თერაპიას (SFBT), ტრავმასთან გამკლავებას და ე.წ. სხეულთან მუშაობის ტექნიკას. ინერგება ახალი, საავტორო პროგრამები. ჩვენ ვაფასებთ მათ ეფექტურობას და ვიმედოვნებთ, რომ ყოველწლიურად გაიზრდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მოახერხებენ ძალადობრივი ქცევების შეცვლას.

ასე რომ მოხდეს, მნიშვნელოვანია იმ პირთა გადამზადება, რომლებსაც შეუძლიათ და სურთ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობა (აღსანიშნავია, რომ ეს საკმაოდ „რთული“ კლიენტია ფსიქოლოგიურ სამუშაოში). უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ასეთ პირებს ჰქონდეთ შესაბამისი ანაზღაურება - ამ ეტაპზე, ასეთ საქმეს აკეთებენ მხოლოდ ენთუზიასტებით აღსავსე ადამიანები, რადგან ასეთი პირების შემოსავალი და მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა.

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა რიცხვის შემცირებას შეუძლია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობის და საერთო ჯამში, ოჯახში ძალადობის პრობლემის შემცირება.



### **რენატა დურდა**

*ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ცენტრის „ცისფერი ხაზის“ დირექტორი. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის პრევენციის სპეციალისტი და სერთიფიცირებული სუპერვაიზერი. ჟურნალ „ცისფერი ხაზის“ მთავარი რედაქტორი. ოჯახში ძალადობის პრევენციის ინტერდისციპლინური მექანიზმების შესახებ მრავალი პუბლიკაციის ავტორი.*

*პოლონეთის ოჯახის, შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის პრევენციის მონიტორინგის გუნდის წევრი. ბავშვთა ომბუდსმენის მრჩეველი.*

# გუგოუ პრონა

“პოლონეთში ძალადობის ჩამდენ პირთან მუშაობის სამართლებრივი რეგულაციების შესახებ”.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ითვალისწინებს არა მხოლოდ ძალადობის მსხვერპლისთვის დახმარების აღმოჩენას, არამედ ძალადობის ჩამდენ პირთან მუშაობასაც. შეუძლებელია ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა, მის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლა, ან პრევენციული ზომების გატარება, თუკი არ დავიწყებთ თანამშრომლობას ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთან მომავალში მისი აგრესიული ქმედებებისა და ქცევის აღმოფხვრის მიზნით.

პოლონური მოდელი ეფუძნება ორ მიდგომას. ერთ-ერთი მეთოდის თანახმად, ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სპეციალურად მისთვის განკუთვნილ კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში, ხოლო მეორე მოდელი ითვალისწინებს პროგრამაში ნებაყოფლობით ჩართვის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი საკუთარი სურვილითა და ინიციატივით, ან სხვისი რჩევის საფუძველზე, იღებს მონაწილეობას აღნიშნულ პროგრამებში.

ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი „ძალით“ ერთვება კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამაში მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ამას შესაბამისი უწყებები ავალდებულებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მოძალადემ ჩაიდინა დანაშაული და იგი ამისთვის დაისჯა.

პოლონურ სამართალში არსებობს სასჯელის აღსრულების შეჩერების მექანიზმი, რომლის თანახმადაც ხდება მოძალადის დამნაშავედ ცნობა, თუმცა იგი ამ დროს არ იხდის სასჯელს საპატიმრო დაწესებულებაში. სასჯელის აღსრულება გარკვეული ვადით შეჩერებულია. დღევანდელი რეგულაციების თანახმად, სასჯელის აღსრულების შეჩერების ვადა განისაზღვრება ერთიდან სამ წლამდე. თუმცა სასჯელის აღსრულების შეჩერების მიუხედავად, მოძალადე მაინც შეიძლება დაავალდებულოს შესაბამისმა უწყებამ, ჩაერთოს საკორექციო-საგანმანათლებლო პროგრამებში.

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ტრადიციული ფორმა კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები გახლავთ. პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსში სულ სამი წელია, რაც ცვლილება შევიდა და დაინერგა ახალი თერაპიული პროგრამები.

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობისას, კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი მიზანია მათთვის იმის სწავლება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ. ამ პროგრამების დანერგვისთანავე, ბევრი აკრიტიკებდა აღნიშნულ მიდგომას, რადგან ქცევის კორექცია არ მიაჩნდა პრობლემის გადაწყვეტად.

ძალადობის ჩადენა არაა დამოკიდებული აღზრდასა და მოძალადის მიერ შესაბამისი ცოდნის არქონაზე, თითქოსდა ვერ იაზრებს, როგორც უნდა მოიქცეს სწორად ასეთ სიტუაციაში. ძალადობის ჩამდენ პირს არ გააჩნია შესაბამისი უნარ-ჩვევები, რომელთა დახმარებითაც შეძლებდა საკუთარი აგრესიისა და ქცევისგაკონტროლებას. აქედან გამომდინარე, კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამას არ შეუძლია ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებში „გამჯდარი“ ქცევები ბოლომდე და დიდი ხნით აღმოფხვრას. შესაბამისად, დაინერგა ე.წ. პარალელური თერაპიული სისტემები, რომლებსაც უფრო დიდი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეთ მოძალადის ფსიქიკაზე, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ნეგატიური ქცევის შეცვლას.

სისტემის ყველაზე დიდი მინუსი გახლავთ ის, რომ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, მოძალადემ აუცილებლად უნდა ჩაიდინოს დანაშაული და გამოტანილი უნდა იყოს გამამტყუნებელი განაჩენი. ოჯახში ძალადობის ჩადენის შემთხვევაში, ძალიან ხშირად არ ხდება ძალადობის ჩამდენი პირების გასამართლება.

შესაბამისად, რჩება მეორე გზა - ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირების ზემოხსენებულ პროგრამებში ნებაყოფლობით ჩართვა, ანუ მოძალადეს შეუძლია მონაწილეობის მიღება, თუმცა არაა ვალდებული. ამ გზით პროგრამაში ერთვებიან ე.წ. ცისფერი ბარათის დახმარებით, რომელიც პოლონეთში 1998 წლიდან დაინერგა.

ვადარებთ რა ერთმანეთს ამ ორ მიდგომას, ვხვდებით, რომ ბევრად უფრო ეფექტურია ის პროგრამები, რომლებშიც ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი ერთვება ნებაყოფლობით.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ვცდილობთ ნებაყოფლობითი პროგრამების გაფართოებას. სწორედ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პრინციპი, რომლის თანახმადაც, ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის განკუთვნილი კურსები არ უნდა ტარდებოდეს იმავე ადგილას,



სადაც იმართება ტრენინგები ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის.

გარდა ამისა, არ ხდება პროგრამაში ჩართული პირების სქესის მიხედვით დაყოფა. ასე ჩვენ ვაჩვენებთ სხვადასხვა პერსპექტივებს, რასაც თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც ვდგავართ, გახლავთ პროგრამასთან წვდომის პრობლემა. იმისთვის რომ სისტემა იყოს ეფექტური, აღნიშნული პროგრამები უნდა იყოს ხელმისაწვდომი მთელი წლის განმავლობაში, რათა ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი ნებისმიერ მომენტში შეურთდეს პროექტს. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს პროგრამის რეალიზატორების გამოცდილება. ეს ორივე გამოწვევა არის გარკვეულწილად დაკავშირებული ერთმანეთთან - რაც უფრო მეტი პროგრამა იქნება ორგანიზებული, მით უფრო მეტი გამოცდილება ექნება ტრენერს/პროგრამის რეალიზატორს. ამავდროულად, მნიშვნელოვანია შესაბამისი ფინანსური რესურსების ქონა, რათა შესაძლებელი იყოს ტრენერების გადამზადება და მათთვის კვალიფიკაციის ამაღლება.



### **გუეგოჟ გრონა**

*იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. მიღებული აქვს ოჯახში ძალადობის პრევენციის სპეციალისტისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სუპერვიზორის სერთიფიკატები. ვარშავის კრიზისული ინტერვენციის ცენტრის „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის“ საბჭოს კონსულტანტი.*

*მრავალი პუბლიკაციის ავტორი - „ე.წ. ცისფერი კარტის პროცედურა“, „ექიმო, რეაგირება მოახდინე ძალადობაზე“. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ჟურნალ „ცისფერ ხაზში“. უძღვება ტრენინგებს, მათ შორის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სხვადასხვა იურიდიული ფორმების შესახებ.*

# ბარბარა ლეუჩინსკა

“ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის განკუთვნილი კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები - რომელიც ხორციელდება ქალაქ ოპოლეს ადმინისტრაციის მიერ”.

ქალაქი ოპოლე, ოპოლეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. მდებარეობს პოლონეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მოსახლეობის მიხედვით (128 035 კაცი) პოლონეთის 27-ე ქალაქია (2019 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით). 2020 წელს, პანდემიის მიუხედავად, ოპოლემ პოლონეთის რესპუბლიკის თვითმმართველობების რეიტინგში მეორე ადგილი დაიკავა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი განვითარების მიზნით, გატარებული ღონისძიებების ეფექტურობას. ზემოხსენებული მდგრადი განვითარება განიხილება რამდენიმე ქრილში: ეკონომიკური-სოციალური განვითარება, გარემოს დაცვა და მართვის ხარისხი. მიუხედავად ამისა, ოპოლეში მაინც ფიქსირდება ოჯახში ძალადობის შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში ტარდება მრავალი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, მის აღკვეთას, მსხვერპლთა დაცვას და ძალადობის პრევენციას. ამისი ნათელი მაგალითი გახლავთ ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონი. კანონის თანახმად, ქალაქ ოპოლეს საკრებულოს მიერ 2011 წელს მიღებული გადაწყვეტილება, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, ინტერდისციპლინური გუნდის შექმნის შესახებ. ამ გუნდის მიზანია ქალაქ ოპოლეში, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამოქმედო გეგმისა და პროგრამის შედგენა და ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის მოტივაციის ამაღლება მათი კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის მიზნით. ამ პროგრამაში აღწერილია ძალადობის სახეები, ძალადობის იდენტიფიცირების გზები და რაც მთავარია, სხვადასხვა სახის აქტივობები, რომლებსაც მუნიციპალიტეტი მის დაქვემდებარებაში მყოფ **სამსახურებთან დაერთულებთან** ერთად ატარებს ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად. გარდა ამისა, მოცემულია ინფორმაცია, თუ როგორც ხდება ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირების მოტივირება კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის კუთხით. რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, ქალაქ ოპოლეს ტერიტორიაზე ბოლო რვა წლის განმავლობაში, თითქმის **ოთხჯერ** გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც დახმარება აღმოუჩინეს სამუშაო ჯგუფებმა - მაშინ როცა 2012 წელს ბენეფიციარების რიცხვი **291** ადამიანს შეადგენდა, 2019 წელს ეს მაჩვენებელი **1078**-მდე გაიზარდა. წლების განმავლობაში გაიზარდა

იმ ოჯახების რაოდენობაც, რომლებსაც სამუშაო ჯგუფების მხრიდან გაენია დახმარება - **129** ოჯახიდან (2012 წელს) **397** ოჯახამდე (2019 წელს). **133**-დან (2012 წელს) **272**-მდე (2019 წელს) გაიზარდა ე.წ. ცისფერი ბარათის პროცედურათა რიცხვიც. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს მხოლოდ ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენას. უადრესად მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა **ქცევის ცვლილებების ხელშეწყობა არაძალადობრივი ქცევისკენ**. პოლონეთში, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კანონის მეოთხე მუხლის თანახმად, აუცილებელია მოძალადეებისთვის ე.წ. კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების გატარება, რომლის ფარგლებშიც გამოიყენება შემეცნებით-ქცევითი და ფსიქო-საგანმანათლებლო მიდგომა. ამავე საკანონმდებლო აქტის მეექვსე მუხლის მეოთხე პარაგრაფის თანახმად, ცენტრალური ხელისუფლების დავალების ფარგლებში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშავოს და განახორციელოს დეტალური სამოქმედო გეგმა და განეროს ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისათვის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები.

თითოეული კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის მთავარი მიზანია მოძალადის ქცევის ცვლილების ხელშეწყობა მისი ქცევის განზრახვისა და მიზეზის შესწავლის გზით. ამ პროგრამების მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახში ძალადობრივი ქცევა ნასწავლია, ასე ვთქვათ, შექნილია და გადადის თაობიდან თაობაზე. ექსპერტების განცხადებით, შესაძლებელია ძალადობრივი ქცევის კორექტირება და ისეთი მიდგომის გამოყენება, რომელშიც შემეცნებით-ქცევით მეთოდებთან კომბინირებულია ცნობიერების ამაღლებისა და საგანმანათლებლო აქტივობები. ასეთი ინტერვენცია ეფუძნება პრინციპს, რომ მოძალადემ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ძალადობრივ ქცევაზე, გააცნობიეროს, რომ ამით ვნებს ახლობელ ადამიანს და გადაეჩვიოს ამგვარ ქცევას.

აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის ჩამდენი იმ პირებისთვის, რომლებმაც უკვე დაასრულეს კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები, განკუთვნილი ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამები, ხორციელდება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის 2014-2020 თანახმად, რომელიც დამტკიცებულია 2014 წლის 29 აპრილს პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ (ნომერი 445, საკანონმდებლო მაცნე 2014) . აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამები ეფუძნება კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების

გამოცდილებას და ასეთი პროგრამების ბენეფიციარების საჭიროებებს, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ თერაპიის გაგრძელებას.

საკორექციო პროგრამების მთავარი ბენეფიციარები შეგვიძლია სამ ჯგუფად დავყოთ:

- ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირები, რომლებსაც შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა და რომლებიც სასჯელს საპატიმრო დაწესებულებებში იხდიან, ან დამნაშავეები, რომლებსაც პირობითი სასჯელი მიესაჯათ და სასამართლოს გადანყვეტილებით, ვალდებულები არიან კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა მიიღონ.
- ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირები, რომლებიც უკვე მკურნალობენ ალკოჰოლდამოკიდებულებას, ნარკოდამოკიდებულებას, ან ფსიქოტროპულ სუბსტანციებზე დამოკიდებულებას - ამ შემთხვევაში, კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები გამოიყენება საბაზო თერაპიაზე დამატებით.
- ბოლო ჯგუფს წარმოადგენენ პირები, რომლებიც ნებაყოფლობით ღებულობენ მონაწილეობას ზემოხსენებულ პროგრამებში.

სამკურნალო და ქცევითი ცვლილებების პროგრამები განკუთვნილია როგორც საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულებისათვის, ისე პრობაციონერებისათვის და იმ დამნაშავეებისათვის, რომლებსაც პირობითი სასჯელი შეეფარდათ. ეს პროგრამები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ყოველწლიურად, იანვარში, ოპოლეს სავოევოდო (გუბერნატორის) ოფისში, გარკვეული რაოდენობის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად დოტაციის მისაღებად, ხდება განაცხადების შეტანა. ასეთი განაცხადი აუცილებლად უნდა იყოს ხელმოწერილი ქალაქის მერის მიერ (ამ შემთხვევაში, ქალაქ ოპოლეს მერის მიერ). 2017 წლიდან როგორც მუნიციპალიტეტის, ისე ქალაქის ტერიტორიაზე სისტემატიურად ხორციელდება სხვადასხვა სახის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა.

**ნებაყოფლობით** პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, კურსი ტარდება ოპოლეში არსებულ ოჯახთან მუშაობის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში. რაც შეეხება პროგრამაში **სავალდებულო** მონაწილეობას, კურსი ტარდება საპატიმრო დაწესებულებებში. სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის თანახმად, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი კურსზე **სავალდებულო წესით** უნდა გააგზავნოს ოპოლეს რაიონულმა

სასამართლომ, რეგიონში არსებულმა რაიონულმა სასამართლოებმა, პოლიციამ, ოპოლეს ინტერდისციპლინურმა გუნდმა, ან **ნებაყოფლობით**, ნებისმიერმა პირმა უნდა გამოხატოს თავისი დაინტერესება ამ პროგრამით. 2008-2014 წლებში საკორექციო პროგრამა ხორციელდებოდა ოპოლეს ნახევრად ღია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და ქალთა და კაცთა საპატიმროებში. 2015 წლიდან პროგრამა ხორციელდება ქალაქ ტურავაში არსებულ ქალთა საპატიმროშიც. ოპოლეში ხორციელდება კორექციულ-საგანმანათლებლო საავტორო პროგრამებიც, რომლებიც შემუშავებულია ოჯახის დახმარების ცენტრის ფსიქოლოგებისა და თერაპევტების მიერ. ერთ-ერთი ასეთი საავტორო პროგრამა ძირითადად ეფუძნება დულუსის მოდელს, გამოსავალზე ორიენტირებულ ხანმოკლე თერაპიას (SFBT) და სხვებს, რომლებიც ეფუძნება შემდეგ პროგრამებს: „პარტნიორი“, „ART“, „ოჯახი“ და განკუთვნილია მათთვის, ვინც ვერ უმკლავდება ბრაზს და აგრესიას. 2007 წლიდან 2012 წლამდე აღნიშნული პროგრამის რეალიზატორები იყვნენ ხელშეკრულებით აყვანილი ფსიქოლოგები. 2012 წლიდან კი ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრის თანამშრომლები გადაიზარდნენ - მათ წარმატებით გაიარეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეკომენდებული კურსები - ART, პარტნიორი, ოჯახი, დულუსის პროგრამა და გამოსავალზე ორიენტირებულ ხანმოკლე თერაპია (SFBT).

ამ ეტაპზე, ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრის თანამშრომლები, ზემოხსენებულ პროგრამებზე დაყრდნობით, ქმნიან და ახორციელებენ საკუთარ პროგრამებს. აღნიშნული პროგრამების განმახორციელებლები არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან, მსხვერპლთან და მოწმებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გარდა ამისა, ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას ოპოლეს სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან, რომლის ფარგლებშიც ცენტრის თანამშრომლები ოპოლეს საპატიმრო დაწესებულებასა და ტურავის ქალთა საპატიმროში ახორციელებენ კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებს.

სამწუხაროდ, აღნიშნული პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები არაა ზუსტი, შესაბამისად ჯერ ისევე არსებობს პროგრამაში მიღებასთან, მოტივირებასთან და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეები. მაგალითად, **ოპოლეს რეგიონში სასამართლოს გადანყვეტილებით, ძალიან ცოტა** დამნაშავე ექვემდებარება სავალდებულო კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობას. პოლიციის თანამშრომლები ე.წ. ცისფერი ბარათის

პროცედურის გაფორმებისას, ამისამართებენ ოჯახში მოძალადე პირებს ასეთ პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხშირად სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლები ღებულობენ გადაწყვეტილებას, ამა თუ იმ დამნაშავის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ეს ეხება ოპოლეს ოჯახის დახმარების ცენტრის სოციალურ მუშაკებს, რომლებიც კოორდინირებას უწევენ სამუშაო ჯგუფების სამუშაოებს. სამართლებრივი ინსტრუმენტების არარსებობიდან გამომდინარე, ნებაყოფლობით, ოჯახის დახმარების ცენტრში, ვერავინ „ავალდებულებს“ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირს, რომ პროგრამის ფარგლებში ჩაერთოს ქცევის ცვლილების კურსში - სწორედ აქედან გამომდინარე, მოძალადეთა მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფი ექვემდებარება პროგრამაში მონაწილეობას. სასამართლოები კი, მიუხედავად კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე დამნაშავის გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმის არსებობისა (პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლი), მაინც ხშირ შემთხვევაში პრობაციის ფარგლებშიც კი, მოძალადეებს უნიშნავენ პოლიციის ზედამხედველობას, ან საზოგადოებრივ სამუშაოებს.

აღსანიშნავია, რომ ინტერდისციპლინური თანამშრომლობის დადებითი შედეგებიც არსებობს. ოპოლეს საპატიმრო დანესებულების პენიტენციურ განყოფილებასთან თანამშრომლობის შედეგად, მოხდა პოტენციური კანდიდატებისთვის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, სამოტივაციო სისტემის შემუშავება. სწორედ აქედან გამომდინარე, ყოველწლიურად შესაძლებელი ხდება რამდენიმე ასეთი პროგრამის განხორციელება. პირველ ეტაპზე, კანდიდატების შერჩევას ახდენენ ფსიქოლოგები და საპატიმრო დანესებულების თანამშრომლები, ხოლო შემდგომ ეტაპზე მიმდინარეობს ამ პროცესში კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზატორების ჩართვა, კერძოდ ისინი მსჯავრდებულებთან მართავენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც ხდება შესაბამისი კანდიდატურების შერჩევა. სასურველია, კანონში აღწერილი პროცედურების თანმიმდევრობის ცოდნა. ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი, რომელიც არის ალკოჰოლდამოკიდებული, ნარკოდამოკიდებული, ან ფსიქოტროპულ სუბსტანციებზე დამოკიდებული, პირველ რიგში იგზავნება სარეაბილიტაციო ცენტრში, სადაც მკურნალობს დამოკიდებულებას. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები არ ტარდება იგივე ადგილას, სადაც შესაბამისი სამსახურები ეხმარებიან ძალადობის მსხვერპლ პირებს. ასეთი სახის პროგრამები ტარდება ოჯახის

დახმარების ცენტრის საორგანიზაციო ერთეულებში, მაგალითად, კრიზისული ინტერვენციის ცენტრებში, სოციალური რეადაპტირების ცენტრებში, დღის ცენტრების ტერიტორიაზე, რაც უბრალოდ ხაზს უსვამს თანხის დაზოგვაზე ორიენტირებულ მიდგომას (აღარ გვიწევს სპეციალური სივრცის იჯარით აღება). ზემოაღნიშნული პროგრამების როგორც რეალიზატორებითვის, ისე ბენეფიციარებისთვის, **ქალაქ ოპოლემი** ბევრი შესაძლებლობა არსებობს, რომლის გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ ბენეფიციარების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, არამედ ცენტრის აქტივობების უკეთესი ორგანიზებისთვისაც. ინტერდისციპლინური გუნდის, სამუშაო ჯგუფების, სოციალური მუშაკებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცენტრების სპეციალისტების ჩართულობისა და ერთიანი ძალისხმევით შედეგია ჩვენს ქალაქში კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების შთამბეჭდავი რაოდენობა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების და ე.წ. ცისფერი ბარათის ბენეფიციართა რეკორდული მაჩვენებელი 2015 წელს დაფიქსირდა. შესაბამისად, პროგრამების შემთხვევაში, ამ მაჩვენებელმა **151** შეადგინა, ხოლო ცისფერი ბარათის შემთხვევაში - **383** პროცედურა.

კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა გახლავთ ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის თერაპიის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი, რომელიც მოიცავს დროის გარკვეულ მონაკვეთში სხვადასხვა აქტივობებსა და ელემენტებს, ხოლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ითვალისწინებს მისი ეფექტურობის შეფასებას 3 წლის განმავლობაში პროგრამის „კურსდამთავრებულის“ ქცევაზე დაკვირვების გზით. ამ პროგრამის მიმდინარეობა და ეფექტურობა ფასდება სხვადასხვა სავალუაციო კვლევებით, რომლის შედეგებიც გამოიყენება შემდგომში ზემოხსენებული პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. სამწუხაროდ, მსჯავრდებულების მიერ პროგრამის ეფექტურობის მონიტორინგი რეალურ დროში არის შეუძლებელი. აქედან გამომდინარე, ოჯახის დახმარების ცენტრის თანამშრომლები მიმართავენ თხოვნით პენიტენციურ სისტემას, უშუამდგომლონ მსჯავრდებულებთან, რათა მათ პროგრამის დასრულებიდან 1, 2, ან 3 წელიწადში შეავსონ სავალუაციო ანკეტა. უფრო რთულია მსჯავრდებულის მონიტორინგი სასჯელის მოხდის შემდეგ, რადგან მისი საცხოვრებელი ადგილი ძალიან ხშირად ოპოლესგან მოშორებით მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. სასამართლო კურატორის ზედამხედველობას.

ფსიქოლოგიურ-თერაპიული სამუშაო გახლავთ მოძალადის ქცევის გამოსწორებაზე ორიენტირებული კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის

გაგრძელება. ძალიან ხშირად, ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამა ეფუძნება დამნაშავის ქცევაში არსებული დეფიციტის ფსიქოლოგიურ მიზეზებზე მუშაობას. ასეთი სახის პროგრამები ოპოლემში ხორციელდება 2018 წლიდან. ამ დროიდან მოყოლებული, ასეთ პროგრამებში მონაწილეობა **94 ადამიანმა** მიიღო. 2018 წელს ეს რიცხვი - 24 შეადგენდა, 2019 წელს - 30 ადამიანს, ხოლო 2020 წელს 40 მონაწილე ჩაერთო ამ პროგრამებში. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამა დაასრულა 8-კაციანმა ჯგუფმა (თავისუფლებაზე მყოფმა). მათ გამოხატეს დაინტერესება გაძლიერებულ თერაპიულ პროგრამაში მონაწილეობის და ოჯახში სწორი ქცევისა და ურთიერთობების განვითარების. ეს მამაკაცები ჯგუფური მეცადინეობების ფარგლებში, პერიოდულად ხვდებიან თერაპევტს. ეს ფაქტი გვაძლევს იმედს, რომ სწორად ჩატარებული კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო შემდგომში ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროექტები გამოიწვევს მოძალადის ქცევის ცვლილებას, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხს.



#### **ბარბარა ლუჩინსკა**

*პოლონელ ფსიქოლოგთა საზოგადოების, ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის, სერთიფიცირებული სუპერვაიზერი. გახლავთ სერთიფიცირების სისტემის პოლონური მოდელის ავტორი. ქალაქ ოპოლეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სპეციალიზირებული ცენტრის დირექტორი. ქალაქ ოპოლემში ოჯახში ძალადობის პრევენციის ინტერდისციპლინური გუნდის ხელმძღვანელი.*

*2016 წლიდან თანამშრომლობს ფონდ “HumanDoc“-თან, უძღვება ტრენინგებს საქართველოში, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის პრევენციის სისტემაში ჩართული პროფესიული ჯგუფებისათვის.*



# ანა პოლოშჩუკ

“ოჯახური ძალადობის ჩამდენი პირების სამუშაო პროგრამების განხორციელების პრაქტიკული ასპექტი”.

## ვისთვის არის განკუთვნილი აღნიშნული პროგრამა:

- ოჯახში ძალადობის ჩამდენი იმ პირებისთვის, რომლებსაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ან პირებისათვის, რომლებსაც ციხეში სასჯელის მოხდის ნაცვლად მიესაჯათ პირობითი სასჯელი და სასამართლომ დაავალდებულა ისინი, მონაწილეობა მიიღონ კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში;
- ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისათვის, რომლებიც მკურნალობენ ალკოჰოლზე, ან ნარკოტიკებზე დამოკიდებულებას; ამ შემთხვევაში, კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა გამოიყენება როგორც ძირითადი თერაპიის დამატებითი ნაწილი;
- პირებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით ერთვებიან კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამებში;

## კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და ამოცანები:

- ძალადობის აღმოფხვრა;
- ქცევის შეცვლა - ემოციის იდენტიფიცირების და მართვის, ბრზისა და აგრესიის კონტროლის სწავლება;
- არსებული სქემებისა და კომუნიკაციის მოდიფიცირება - ე.წ. მორალური პასუხისმგებლობის სწავლება;
- ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობების კორექცია;

პოლონეთის შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის ბრძანების მე-9 პარაგრაფის თანახმად, რომელიც არეგულირებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის მექანიზმებს, სპეციალიზირებულ ცენტრებში ძალადობის მსხვერპლისთვის დახმარების აღმოჩენის საკითხს,

სპეციალისტების პროფესიულ კვალიფიკაციებს, ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისათვის განსაზღვრული კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებებს (პოლონეთის საკანონმდებლო მაცნე, პოზიცია 259, ნომერი 50, 08.03.2011), კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა შეუძლია ჩაატაროს პირმა, რომელსაც:

- გააჩნია მაგისტრის ხარისხი შემდეგი მიმართულებით: ფსიქოლოგია, პედაგოგია, სპეციალური პედაგოგია, ოჯახის შესახებ მეცნიერებები, პოლიტოლოგია და სოციალური მეცნიერებები - სპეციალობით სპეც. პედაგოგია, რესოციალიზაცია, სოციალური მუშაკი, ან მიღებული აქვს უმაღლესი განათლება და ამასთანავე გავლილი აქვს დიპლომისშემდგომი კურსი ფსიქოლოგიაში, პედაგოგიაში, ან რესოციალიზაციაში;
- გავლილი აქვს ტრენინგები (მინიმუმ 100 საათი, საიდანაც 50 საათი ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის სპეციფიკას ეთმობა) ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის პრევენციის სფეროში და გააჩნია ამ ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- გააჩნია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.

რეკომენდირებულია მიდგომა, რომლის თანახმადაც ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირს ტრენინგის დროს უნდა ჰქონდეს კონტაქტი როგორც **მამაკაცთან, ისე ქალთან**. პროგრამის ფარგლებში, ტრენინგში მონაწილე მამაკაცი უხსნის ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირს, რომ დაუშვებელია და მისთვის მიუღებელია ძალადობრივი მეთოდების გამოყენება. ტრენინგის დროს ნაჩვენებია ქალის გრძნობები და ემოციები - რათა მოძალადემ დაინახოს მისი ქცევის მეორე მხარე, თუ რა ზიანს აყენებს იგი სხვას. ტრენინგის ამ ნაწილში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ურთიერთობების მოდელირებას - ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ ურთიერთპატივისცემას, სწორი კომუნიკაციის უნარს, პარტნიორობის არსს, სწორედ ამიტომაც ასეთი მნიშვნელოვანი ტრენინგის ამ ნაწილში როგორც ქალის, ისე მამაკაცის ჩართვა.

**პროგრამის ხანგრძლივობა** - პროგრამა გრძელდება მინიმუმ **60 საათის** განმავლობაში. შესაძლებელია ტრენინგის ისე დაგეგმვა, რომ პროგრამას მთლიანობაში დაეთმოს **120 საათი**.

## აღნიშნული ტრენინგი ეფუძნება შემდეგ მოდელებს:

### დუღუსის მოდელი

**■ ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის განსაზღვრული კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამა სახელწოდებით „პარტნიორი“** - ამ პროგრამას საფუძვლად უდევს ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალი წლის განმავლობაში დანერგილი და წარმატებით გატარებული დუღუსის პროგრამა. იქედან გამომდინარე, რომ ძალადობის გამომწვევი ბევრი მიზეზი არსებობს, პროგრამა „პარტნიორის“ ფარგლებში ძალადობა აღიქმება, როგორც საზოგადოებიგან შექცენილი, გენეტიკურად განპირობებული, ნასწავლი „მოვლენა“. ამ პროგრამის თანახმად, ტრენინგში ჩართული ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი შესაძლებელია გადავაჩვიოთ ძალადობრივ ქცევას. პროგრამის მთავარი მიზანია, აგრესიული ქცევის შემცირება, არასწორი ქცევის გააზრება, ჩადენილ ძალადობრივი ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება, მოძალადეებში ქალთა მიმართ პატივისცემის დანერგვა, რათა მათ შეძლონ პარტნიორობის მნიშვნელობის უკეთესად გაგება.

### ■ პროგრამა ART

აგრესიის ჩანაცვლების ტრენინგი სახელწოდებით „ART“ განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც ვერ უმკლავდებიან ბრაზსა და აგრესიას. ამ პროგრამის ფარგლებში, მოძალადე სწავლობს რთულ სიტუაციაში ადეკვატურად მოქცევას - ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი შეისწავლის სოციალურ უნარ-ჩვევებს, რთულ ემოციებთან გამკლავებას, იღებს მორალურ პასუხისმგებლობას ჩადენილ ქმედებებზე. აგრესიის ჩანაცვლების ტრენინგი გახლავთ შემეცნებით-ქცევითი მეთოდი, რომლის დროსაც ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირი აანალიზებს არსებულ სიტუაციას და ცდილობს საკუთარი ქცევის შეცვლას.

**ოჯახი** - ეს მეთოდი ითვალისწინებს აგრესიული და ძალადობრივი ქცევის სხვადასხვა ფაქტორებზე კონცენტრირებას - აანალიზებს ბიოლოგიურ ფაქტორებს (ადამიანის გენეტიკა, ნერვული სისტემის თავისებურებები), პიროვნულ თვისებებს (ემოციებზე კონტროლის არქონა, ეგოცენტრიზმი, დაბალი თვითშეფასება, სხვასთან კავშირის არქონა და ა.შ.), სოციალური და გარემო ფაქტორები (ძალადობრივი ქცევის გარემო ფაქტორებით ახნა,

აგრესიის სოციალიზაციის პროცესის შედეგად წარმოშობა და ა.შ.)

**გამოსავალზე ორიენტირებული ხანმოკლე თერაპია (ინგლისურად SFBT)** - ამ მეთოდის თანახმად, პატარა ცვლილებები განაპირობებს დიდ მეთამორფოზას. მონაწილეს ბევრი რესურსი გააჩნია, ჩვენ უბრალოდ უნდა დავხეივაროთ მას ამ რესურსების აღმოჩენასა და გამოყენებაში. მთავარია, დადებით ასპექტზე კონცენტრირება ანმყოსა და მომავალში - „თუ რაღაც კარგად მუშაობს, უფრო მეტად ეცადე, უფრო მეტი გააკეთე“.

**კომუნიკაცია ძალადობის გარეშე** - ე.წ. დადებითი კომუნიკაცია, ემპათია, რომლის მიზანია დიალოგის დამყარება, ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესება მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

**კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეტაპები:**

**მონაწილეების პირველადი შერჩევა.**

**ბენეფიციალისა და მისი მოტივაციის იდენტიფიცირება და შესაბამისი დიაგნოზის დასმა** - ე.წ. ცხოვრების ხაზი, ძალადობრივი ქცევების ისტორია, ალკოჰოლზე/ნარკოტიკებზე დამოკიდებულება, ჩატარებული თერაპია და რეაბილიტაცია, მოტივაცია, რესურსები და მოლოდინები.

**კონტრაქტი.**

**ჯგუფური სამუშაო** - პირველადი და ე.წ. შეფასების ანკეტა (ამ პროგრამის ბოლოს, მონაწილეები ავსებენ სპეციალურ ანკეტას, რათა შევაფასოთ ცვლილებები), სოციალური როლის უკეთესად გაგება, ემოციების სწორად იდენტიფიცირება/ამოცნობა.

**პროგრამის შინაარსობრივი მხარე:**

ძალადობის ფორმების და აგრესიული ქმედებების შედეგების გაანალიზება;

ემოციების იდენტიფიცირების, ამოცნობის და გამოხატვის სწავლება;

ძალადობრივი და აგრესიული ქმედებების კონტროლირების ტრენინგი;

■ ე.წ. მორალური პასუხისმგებლობის ტრენინგი.

■ სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგი.

■ ძალადობის გამომწვევი მიზეზები, ბავშვების აღზრდის პროცესში აგრესიული ქცევის მოდელირება.

■ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გავლენა ოჯახში ძალადობის არსებობაზე, ასეთ ოჯახებში როლების გადანაწილება.

■ კონსტრუქციული, ასერტიული კომუნიკაციის დამყარების უნარი.

■ სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება - ურთიერთპატივისცემა, გაგება, შემწყნარებლობა, განსაკუთრებით ასაკოვანი ადამიანებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ.

■ ფასეულობების სისტემის შექმნა.

**ჩატარებული აქტივობების ეფექტურობა** - კანონის თანახმად, პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში უნდა შეფასდეს პროგრამის ეფექტურობა.

**სხვისი მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობა** - რეკომენდებულია.

### **რამდენიმე რჩევა:**

■ უნდა გეგმოდეს ნდობა ტრენინგის/პროგრამის თანანამყვანის მიმართ. უნდა გჯეროდეთ, რომ ეს აქტივობები არის აუცილებელი;

■ შეცვალე შენი დამოკიდებულება, უმთავრესია მონაწილეების მოლოდინები და არა შენი;

■ იყავი მოქნილი და მომთმენი, აჩვენე სხვას ურთიერთპატივისცემაზე, შემწყნარებლობასა და რაციონალურ ქცევაზე ორიენტირებული დამოკიდებულება;

ამ დავალების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მუდმივად უნდა მივიხსნაოფოდეთ სრულყოფილებისკენ, რაღაც ახლისკენ. ყველა ჯგუფი სხვანაირია, რადგან „მრავალფეროვანი“ მონაწილეებისგან შედგება;

არ დანებდე მაშინ, როდესაც მონაწილეები ცდილობენ ყველაფერი აკონტროლონ. ისინი ამომწებენ, რამდენად გაუძლებ მათ ასეთ ქცევას. გახსოვდეს, მათ ასეთი მიდგომა აქვთ და ისინი ყველაფრის გაკონტროლებას ცდილობენ. მიეცი მათ ახალი პერსპექტივა.

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობა დაკავშირებულია ბევრ გამოწვევასთან, აგრესიული ქცევის გასაგებად აუცილებელია იმ ფსიქოლოგიური მექანიზმის გაანალიზება, რომელმაც მიიყვანა დესტრუქციულ ქცევამდე ეს ადამიანი. **არ უნდა შევავასოთ მსგავსი ადამიანები, არამედ, პირიქით უნდა დავებმართო მათ, გამოასწორონ საკუთარი შეცდომები და მიყენებული ზიანი აუნაზღაურონ ახლობლებს.**

**“არავინაა ცუდი და არც შენ არ უნდა იყო ასეთი”  
როდესაც გულზე სველი ცრემლები მოგადგება,  
ყველანაირ ძალ-ღონეს ხმარობ ამის დასაძლევად,  
მაგრამ როცა გულს ტკენ ახლობლებს,  
არ იცი, რომ ეს დაუშვებელია.  
მოდი, ჩაიხედე საკუთარ თავში და დაფიქრდი,  
ღირს ეს ყველაფერი სხვისი ცრემლების ფასად?  
რა მოუვიდა სამყაროს, რომელმაც დაკარგა რითიმი?  
ნამდვილად არ ღირს, შენ შეგიძლია იყო უკეთესი ადამიანი!**

(კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი მონაწილე, 2017 წელი)



### ანა ვოლოშჩუკ

ფსიქოლოგი, სისტემური ფსიქოთერაპევტი. ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის განსაზღვრული კორექციულ-საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზატორი. ასევე უძღვება ფსიქო-თერაპიულ პროგრამებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ან პირობითი თავისუფლების აღკვეთა. ბოლო 14 წელია მუშაობს ქალაქ ოპოლეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირთა დახმარების სპეციალური ცენტრის თერაპევტად.

# ნიმო ტყაშელაშვილი

“სამუშაო პროგრამების განხორციელება ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან საქართველოში”.

ოჯახში ძალადობა სოციალურ პრობლემას წარმოადგენს და გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის სტრუქტურული ბუნებით ხასიათდება. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის და სოციალური კონტექსტისა და ქვეყნის სპეციფიკური ფაქტორების გაანალიზებით საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი საჯარო პოლიტიკის განხორციელებას.

ძალადობა ოჯახის ყველა წევრისთვის მტკივნეული და ზიანის მომტანია, თუმცა აღსანიშნავია, ისიც, რომ ძალადობა კომპლექსურია და ერთი მიზეზის დასახელება გავიჭირდება ძალადობის განხორციელების საფუძველად. მიზეზები ძალიან ბევრია, ოჯახში როლური მოდელის, აღზრდის, მენტალობის, სოციალურ-პატრიარქალური გარემოს, სტიგმატიზაციის, და ა.შ. ... ამასთან, არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ მიზეზები ჩვენს საზოგადოებაშიც ძალიან ბევრია. რადგან ჩვენ ხშირად გულგრილები, არა ემპათიურები და პასიურები ვართ და ხშირად დუმილს ვარჩევთ იმის ნაცვლად, რომ ვილაპარაკოთ, ვიყვიროთ და ჩავერიოთ იქ, სადაც სხვები თვლიან, რომ ეს მათი კი არა „ოჯახის საქმეა“ ... არადა ჩვენი დუმილის შედეგად საქართველოში ქალები ზიანდებიან, მათი შვილების, შვილიშვილების და ჩვენს წინაშე.

ქალთა მხარდამჭერი პროგრამების შექმნის და დანერგვის მიზნით, ჩვენმა ქვეყანამ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, გაუმჯობესდა კანონმდებლობა, ტარდება პრევენციული ღონისძიებები, გაძლიერდა ინსტიტუციური მექანიზმები.. თუმცა კიდევ ბევრი ცვლილება გვაქვს გასატარებელი იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ქალთა მიმართ ძალადობის ესკალაცია, რომელსაც ქალთა მკვლევლობებამდე მივყავართ.

მაგრამ, ქალების და გოგონების უფლებების დაცვასთან ერთად მნიშვნელოვანია, მოძალადე მამაკაცების ქცევის კორექციაზე მიმართული ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა, როგორც სახელმწიფო უწყებებში ასევე არასამთავრობო სექტორში. ვინაიდან, მოძალადეების ქცევის კორექციის პროგრამები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ინტეგრირებული და ერთიანი მიდგომის მნიშვნელოვანი ელემენტებია, რომელიც თავის მხრივ, ერთიანი, ეროვნული პოლიტიკის ან სტრატეგიის

ან სტრატეგიის ნაწილია. მოძალადე მამაკაცებთან მუშაობა ხელს უწყობს, კულტურული და პოლიტიკური ცვლილების პროცესს, რომელიც მიმართულია გენდერული იერარქიის, გენდერული ძალადობისა და გენდერული დისკრიმინაციის ფორმების აღმოფხვრისაკენ.

სწორედ ამ მიზნით, პრობაციის და პენიტენციურ სისტემაში საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და სისტემის ფსიქოლოგების ჩართულობით, აქტიურად დაიწყო მუშაობა პარტნიორზე მოძალადე პირებისთვის ქცევის კორექციის პროგრამის შემუშავებასა და დანერგვაზე. აღნიშნული პროგრამის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, მულტისექტორულ ჯგუფს გაეროს ქალთა ფონდის მხარდაჭერით ხელმძღვანელობდა ესპანელი ექსპერტი, ფსიქოლოგი, რომლის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეიქმნა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის კორექციის პროგრამა - მოძალადეებისათვის, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და მეცნიერულ კვლევებს. პროგრამა ინსტიტუციონალიზაციის მიზნით გადაეცა იუსტიციის სამინისტროს.

რაც შეეხება ქცევის კორექციის პროგრამის შედეგების ეფექტიანობის შემოწმებას, აღნიშნული მიმართულებით კვლევა საქართველოში ჯერჯერობით არ ჩატარებულა, თუმცა ეს საკითხი დიდი განსჯის და პოლემიკის საგანია ყველა ქვეყანაში, სადაც კი ამ მიმართულებით პროგრამებია დანერგილი და მიუხედავად კვლევების შედეგების ურთიერთ განსხვავებულობისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კვლევაში ფიქსირდება ქცევის კორექციის პროგრამის მაღალი ეფექტიანობა.

კვლევები ადასტურებს, რომ ინტერვენციას მნიშვნელოვანი თერაპიული ცვლილებები მოჰყვება და მონაცემების მიხედვით იმ მსჯავრდებულთა თერაპიამ, ვინც ქცევის კორექციის პროგრამაში იყო ჩართული დადებითი შედეგები აჩვენა ყველა შესწავლილ ცვლადში: სექსიზმი, ეჭვიანობა, ემოციური ძალადობა, წყვილს შორის არსებული კონფლიქტები, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ემპათია, იმპულსურობა, მტრობა და გულისწყრომის გამოხატვა და მართვა (Pérez, Giménez-Salinas y De Juan, 2013). დანაშაულის რეციდივის საკითხს რაც შეეხება, პროგრამის გავლის შემდგომ მსჯავრდებულთა მხოლოდ 4,6 %-მა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული. (Pérez, Giménez-Salinas, y De Juan, 2012).

პროგრამის დადებით შედეგებზე დიდ გავლენას ახდენს ძალიან დიდ



გავლენას ახდენს თავად პროგრამის ფასილიტატორი, შესაბამისად მას გავლილი უნდა ჰქონდეს ტრენინგი გენდერული ძალადობის, მოძალადებთან მუშაობის სპეციფიკის შესახებ და უნდა შეეძლოს ინტერვენციის კონტექსტის განსაზღვრა, მსჯავრდებულებთან ურთიერთობების მართვა და რეფლექსია. ქცევის კორექციის პროგრამის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, პრობაციის სისტემის სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები პერიოდულად გადიან გადამზადებას.

### **ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამა:**

საქართველოში დანერგილი ქცევის კორექციის პროგრამა ფსიქო-საგანმანათლებლო ხასიათისაა და მისი ძირითადი მიზანია მონაწილეებთან ძალადობრივი ქმედებების აღმოფხვრა პარტნიორის/შვილების მიმართ და ძალადობის გამომწვევი ქცევისა თუ რწმენა-შეხედულებების შეცვლა, რეციდივის პრევენცია.

პროგრამის დასაწყისში ფასილიტატორი აფასებს მონაწილეს და ახდენს ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართვის მოტივაციაზე და ცვლილებების განხორციელებაზე ორიენტირებას. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რთული ფაზაა როგორც ფასილიტატორისთვის ასევე მონაწილისთვის, ვინაიდან სწორედ აქ ხდება გარკვეული თერაპიული ალიანსის დამყარება მათ შორის.

შემდეგ კი ინტერვენციის ფაზის დროს ჯგუფურ სესიებზე მიმდინარეობს მუშაობა ჩადენილ ქცევაზე პასუხისმგებლობის ადების, ემოციების მართვის, კონსტრუქციული გზით ემოციების გამოხატვის სწავლებაზე. პროგრამის მსვლელობისას დიდი დრო ეთმობა ემპათიის გრძნობის გამომუშავებას ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ; ასევე პრო სოციალურ უნარ-ჩვევების განვითარებას კონფლიქტების მოგვარებისთვის, ამასთან სეანსებზე ხდება გენდერული როლებისა და ძალადობის გამოყენების შესახებ მცდარი რწმენა-შეხედულებების მოდიფიცირება და ძალადობის ფორმების: ფიზიკური ძალადობის, ფსიქოლოგიური ძალადობის, ეკონომიკური ძალადობის, სექსუალური ძალადობის და იძულების განმარტება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მონაწილეები არ ფლობენ ინფორმაციას ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ.

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ემპათიური, პარტნიორულ

ურთიერთობებში თანასწორობასა და პატივისცემაზე დამყარებული ქცევების განვითარების ხელშეწყობა მონაწილეებთან.

ქცვის კორექციის პროგრამა 25 სესიისგან შედგება. მისი ხანგრძლივობა 6.5 თვეა, თუმცა შესაძლებელია პროცესი უფრო დიდხანს გაგრძელდეს.

პროგრამის დასრულების და მისი ეფექტიანობის შესწავლის შემდეგ, ტარდება შეფასება, მონაწილის თერაპიული ცვლილებების დასადგენად.

ბოლოსკენ მინდა ავღნიშნო, რომ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცვის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამა სიახლეა ჩვენი ქვეყნისთვის, შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ მისი პრაქტიკაში დანერგვა, პროცესის პერიოდული შეფასება/კვლევა და ანალიზი, საბოლოოდ განაპირობებს პროგრამის ეფექტურ განხორციელებას და გარკვეული ასპექტების გაუმჯობესებას, რაც პოზიტიურად აისახება ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ცვლილებებზეც.



### **ნინო ტყეშელაშვილი**

*ფსიქოლოგიის მაგისტრი.*

*ნინო ტყეშელაშვილი არის დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი.*

*რაც შეეხება მის სამუშაო გამოცდილებას, იგი ფსიქოლოგად მუშაობდა საჯარო სკოლის კონტიგენტთან, დევნილ მოსახლეობასთან, წამლადამოკიდებულ პირებთან და მათ ოჯახის წევრებთან, პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვან ბრალდებულებთან და მსჯავრდებულებთან, პირობითი მსჯავრის მქონე პირებთან. ამასთან, პრობაციის სისტემაში იკავებდა სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ფსიქოლოგების პროფესიული ზედამხედველის პოზიციას, შემდეგ კი აღნიშნულ სამმართველოს ხელმძღვანელობდა.*

# სა ფაჩუაშვილი

“სამართლებრივი რეგულაციები ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა შესახებ საქართველოში”.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტული საკითხია. ამ ტიპის დანაშაულის პრევენციის, გამოძიების ხარისხის ამაღლების და შემცირების, მიზნით, 2018 წელს, სამინისტროში შეიქმნა ახალი დანაყოფი - ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი. დეპარტამენტის ფუნქციად ოჯახში ძალადობის გარდა, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით სიძულვილის მოტივით, არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულების, ტრეფიკინგის გამოძიების ხარისხის მონიტორინგი განისაზღვრა.

2019 წელს, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მანდატი გაფართოვდა და დაიწყო სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა, ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით, სხვა დანაშაულთა გამოძიების ხარისხის მონიტორინგი მთელი საქართველოს მასშტაბით.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს გამოძიების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ახორციელებს რეკომენდაციების შესრულების კონტროლს, გამომძიებელთა წახალისებისა და დასჯის წინადადებით მიმართავს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებს, უზრუნველყოფს მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებების განხილვას, კოორდინაციას უწევს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა საქმიანობას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ერთი მხრივ, ზრუნავს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ უკვე არსებული მექანიზმების დახვეწაზე და, მეორე მხრივ, მუდმივად ნერგავს თანამედროვე, ქმედით მექანიზმებს რეაგირების ეფექტიანობისთვის. ყოველი საკონონმდებლო ცვლილების მიზანი ოჯახში ძალადობის მსხვერპლების ხარისხიანი დაცვა და მოძალადეთა მიმართ ადეკვატური პასუხისმგებლობის დაკისრებაა.

სამინისტრო მიუხედავად პანდემიისა ცდილობს იყოს ეფექტიანი და ამ კუთხით შეუფერხებლად განახორციელოს ყველა ის საჭირო ღონისძიება,

რასაც ახორციელებდა პანდემიამდე პერიოდში.

საქართველოში კანონმდებლობა საკმაოდ მკაცრია ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ და შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიდგომებიც არის ცალსახა და პროპორციული. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკა ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ შეუვალა და ძალადობის შესახებ მომართვაზე პოლიციის მხრიდან რეაგირება არის მყისიერი. რეაგირება შესაძლებელია ორი მიმართულებით განხორციელდეს: ოჯახში ძალადობის შესახებ მოქალაქის მხრიდან მომართვა შეიძლება შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს, ასეთ შემთხვევაში სამართალდამცავი უწყება ინყებს გამოძიებას. თუმცა, შესაძლებელია მომართვა არ იყოს დანაშაულის ნიშნების შემცველი და გარკვეული ტიპის ძალადობას ჰქონდეს ერთჯერადი ხასიათი (მაგ.: ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობა), ამ დროს პოლიციის თანამშრომელს აქვს უფლება გამოსცეს შემაკავებელი ორდერი. გამოძიების დაწყება, არ გამორიცხავს ორდერის გამოყენებას. პირიქით, სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს შესაბამისი მუხლი, რომელიც ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ გარკვეულ მუხლებზე (მაგ.: თვითმკვლელობამდე მიყვანა, ჯანმრთელობის დაზიანება, სექსუალური ხასიათის დანაშაულები) გამოძიების დაწყების შემთხვევაში გვაკლდებულებს შემაკავებელი ორდერის გამოცემას.

შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესაძლებლობას გვანიჭებს საქართველოს კანონი „, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ამ კანონს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები ძალიან აქტიურად და ეფექტიანად იყენებენ.

თუმცა, შს სამინისტრომ დანერგა გარკვეული პროცედურები, მანამ, სანამ ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემის გადაწყვეტილება მიიღება. კერძოდ, 2018 წლის 1 სექტემბერს, ამოქმედდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტი და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის მექანიზმი.

სამართალდამცავები რისკის შეფასების ინსტრუმენტში, იგივე შემაკავებელი ორდერის ოქმში არსებული სტრუქტურირებული კითხვების საშუალებით ძალადობის ფაქტისა და მასში მონაწილე პირების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვებასა და მოძალადისგან მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებას ახდენენ. ეს კი, თავის მხრივ, პოლიციელს სწორი

გადაწყვეტილების მიღებისა და განმეორებითი ძალადობის აღკვეთის მიზნით, ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს. რისკების შეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე გამოვლენილი რისკის დონის შესაბამისად იგეგმება გამოცემული შემაკავებელი ორდერით მოძალადისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის პროცესი.

რისკი შესაძლებელია იყოს სამი დონის : დაბალი, საშუალო და მაღალი და ეს რისკის დონე ფასდება იმ ქულების მეშვეობით, რაც ახლავს ორდერის ოქმში მოცემულ კითხვებს. რისკების განსაზღვრასთანაა დაკავშირებული შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის მექანიზმი. რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო ინტენსიურად კონტროლდება მოძალადე. კონტროლი გამოიხატება ორი მიმართულებით: ერთი, რომ მოძალადესთან ხდება პირდაპირი ან/და სატელეფონო კომუნიკაცია და მეორე, ხდება მისი დაბარება შესაბამის დანაყოფთან ვიზიტის განხორციელება საცხოვრებელ მისამართზე. ვიზიტი შეიძლება იყოს როგორც წინასწარ შეთანხმებული, ისე შეთანხმების გარეშე. გამომდინარე იქედან, რომ პრაქტიკაში ყოფილა არაერთი მაგალითი, როცა მოძალადე არღვევდა ორდერის პირობებს (მიახლოება, კომუნიკაცია) და მსხვერპლი მისი შიშით ვერ აცხადებდა აღნიშნულს, ვიზიტებმა პოლიციას მისცა შესაძლებლობა, მომართვის გარეშე გამოევიდნენ დარღვევის ფაქტები. ორდერის პირობების დარღვევა ქართული კანონმდებლობით ისჯება სისხლის სამართლის წესით, წარმოადგენს დანაშაულს.

მსხვერპლების დაცვის მიზნით 2020 წლის სექტემბრიდან, შს სამინისტროს ინიციატივით ამოქმედდა ელექტრონული ზედამხედველობის სისტემა, რამაც სამართალდამცავებს მისცა შესაძლებლობა გააკონტროლონ მოძალადეები და მათი მხრიდან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული პირობების შესრულება. უფრო კონკრეტულად, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა დაწესდება თუ სახეზეა ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე. ძალადობის განმეორების რისკის შეფასება ხორციელდება შემაკავებელი ორდერის ოქმში ინტეგრირებული კითხვარის საფუძველზე.

ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შემთხვევაში მოძალადეს სხეულზე ელექტრონული სამაჯური უმაგრდება. აღნიშნულის შედეგად ხდება მოძალადის მსხვერპლთან და წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიებთან მიახლოების კონტროლი. თუკი მოძალადე მიუახლოვდება მსხვერპლს, წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიებს, მის მიმართ პასუხისმგებლობა

დადგება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

ელექტრონული ზედამხედველობა ხორციელდება არაუმეტეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით, რომელიც არ აღემატება 1 თვეს და მისი განხორციელებისთვის აუცილებელია მსხვერპლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა. ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების საკითხი ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.

პოლიციის მიერ გამოცემული ოქმი, გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს და საბოლოოდ სასამართლო წყვეტს, მოძალადის მიმართ იქნება თუ არა გამოყენებული კონტროლის ეს მექანიზმი.

შს სამინისტროს ინიციატივით, 2020 წლიდან ამოქმედდა კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. ეს კანონიც მოძალადეების კონტროლის ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს. კერძოდ, ამ კანონით, გამკაცრდა პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენი პირებისთვის.

არასრულწლოვანთა მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენ პირებს კანონის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც სასამართლოს მხრიდან გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი, გარკვეული უფლებები ჩამოერთმევათ. მაგალითად, სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ, დანაშაულის ჩამდენ პირებს ეკრძალებათ სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში მუშაობა, მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არაუმეტეს 30 მეტრის რადიუსში ყოფნის უფლება, ბავშვთა გასართობ ცენტრში, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ ბიბლიოთეკაში ყოფნის უფლება, სოციალურ მუშაკად მუშაობის უფლება, სატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მგზავრთა გადაყვანის უფლება, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება და ა.შ.

კანონის საფუძველზე, შს სამინისტროში შეიქმნა სქესობრივი დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირთა ბაზაც, რომლის მიზანი სქესობრივი

დანაშაულის ჩამდენ პირთა კონტროლი და მათი მხრიდან მოსალოდნელი სექსუალური ძალადობისგან არასრულწლოვნების დაცვაა.

გამომდინარე იქედან, რომ არასრულწლოვნის მიმართ მოძალადე შეიძლება იყოს ოჯახის წევრიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოხსენებული კანონი კიდევ ერთი დამატებითი საშუალებაა მათ ოჯახში მოძალადეთა საკონტროლებლად. შს სამინისტროს მხრიდან განხორციელებული ყოველი საკანონმდებლო ცვლილება ქვეყანაში ამ კუთხით არსებული მდგომარეობის პროპორციულია. ოჯახში ძალადობის მხრივ სტატისტიკა საქართველოში საკმაოდ მაღალია, თუმცა, ეს შედეგები უკავშირდება მსხვერპლების მხრიდან მომართვიანობას. მაგალითისთვის, თუკი 2018 წელს, ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოცემული იყო 7600-ზე მეტი ორდერი, 2019 წელს, ორდერების მაჩვენებელი გასცდა 10000-ს, ხოლო 2020 წლის პირველ 6 თვეში, ორდერების რაოდენობა აღმატება 5700ს. გამოძიების დაწყების მაჩვენებელიც საკმაოდ ხელშესახებია. მაგალითად, 2019 წელს 6000-ზე მეტ ოჯახში ძალადობის ფაქტზე დაიწყო გამოძიება, 2020 წლის პირველ ექვს თვეში კი - 2900-ზე მეტ შემთხვევაზე.

ოჯახში ძალადობა ჯერ კიდევ ლატენტური დანაშაულია, თუმცა სტატისტიკური მაჩვენებლები მიუთითებს, რომ ცნობიერება იზრდება ამ ტიპის ძალადობის მიმართ, შესაბამისად უწყება პროპორციულად ავითარებს როგორც პრევენციულ, ისე რეაგირების მექანიზმებს, რათა მსხვერპლები დაცული იყვნენ ეფექტიანად, მოძალადეთა მიმართ კი გატარდეს რელევანტური ღონისძიებები.



### **ანა ფაჩუაშვილი**

*შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი. იურისტი, საპოლიციო რეგულირების სამართლის მაგისტრი.*

*სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე მუშაობს რამდენიმე მიმართულებით: ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა, არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულები, დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, ტრეფიკინგი.*

[www.humandoc.pl](http://www.humandoc.pl)  
[www.humandoc.ge](http://www.humandoc.ge)  
[www.facebook.com/HumanDocGeo](https://www.facebook.com/HumanDocGeo)

პუბლიკაცია დაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა  
სამინისტროს პოლონეთის თანამშრომლობის განვითარების  
პროექტის ფარგლებში განხორციელებული ფონდ ჰუმან



Polish aid



HumanDoc